ახალგორის
მუნიციპალიტეტის
გაზეთი

№7(111)
ივლისი
2023 წელი

გამოდის თვეში
ერთხელ

ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახების მდგომარეობას გაეცნო

3

იაპონიის მთავრობამ ახალგორის მუნიციპალიტეტს მძიმე ტექნიკა გადასცა

უკვდავებამინიჭებული 19 წლის ჯარისკაცი ლევან მიდელაშვილი

6

ახალდაბის სკოლის მოსწავლეები კონკურსში „ახალგაზრდა ნიჭიერი ხელოვანები“ აქტიური მონაწილეობისათვის მცხეთის მერიისგან „მადლობის სიგელებით“ დაჯილდოვდნენ



მოსწავლისთვის უნდა იყო არა მარტო მასწავლებელი, არამედ — მეგობარიც



ნანა ჩქარეული: იოცნებე, დაიჯერე, იშრომე და მიაღწევ!!!

7

3

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ყველა ბავშვს, სახელმწიფო დაფინანსებით, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესაძლებლობა, საქართველოსთან ერთად, თურქეთის, ისრაელისა და ესპანეთის წამყვან კლინიკებში ექნება

8

„ქსანი რიყიდან გვეფერებოდა...“

ნორა მორბედაძის პოეზია

„ევერილებმა“ ბულგარეთის ფესტივალზე გრანპრი მიიღეს

10

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახების მდგომარეობას გაეცნო

30 ივნისიდან 3 ივლისამდე საქართველოს ვიზიტით სტუმრობდა ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი, მარია პეიჩინოვიჩ ბურიჩი. ვიზიტის ფარგლებში, იგი შეხვდა საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებს, ასევე, ეწვია წეროვნის დევნილთა დასახლებას. მასთან ერთად წეროვანში იყვნენ ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი თამარ ტალიაშვილი, ეკომიგრანტთა და სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორის მოადგილე ლევან დოლიძე და სამმართველოს უფროსი რეინტეგრაციის საკითხებში დავით ფეიქრიშვილი.

სტუმრებს ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გელა შერმადინმა და საკრებულოს თავმჯდომარემ თამაზ ბალაშვილმა უმასპინძლეს.

შეხვედრის ფარგლებში, საუბარი შეეხო ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული ოჯახების მდგომარეობას, სახელმწიფო-მუნიციპალურ პროგრამებსა და იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, რომლებიც დევნილთა დასახლებაში განხორციელდა.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ყველა დაინტერესებულ საკითხზე ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს და ადგილზე არსებული ვითარება გააცნეს.

წეროვნში ჩამოსვლამდე მარია პეიჩინოვიჩ ბურიჩი საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფელ ოძისს ეწვია.

ევროპის საბჭოში საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა, თამარ ტალიაშვილმა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელმა, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მიაწოდეს ინფორმაცია ადგილზე არსებული მძიმე ჰუმანიტარული ვითარების შესახებ.

მოსახლეობის საყურადღებოდ!

ახალგორის მუნიციპალიტეტის და კერძოდ, გამგებლის გელა შერმადინის ინიციატივით, წეროვანის დასახლებიდან ოძისში რუსების მიერ მოწყობილი საგუშაგოს გამშვებ პუნქტამდე, 23 ივლისიდან (გასვლა საღამოს 5 საათი-დაბრუნება 8 საათი) დაინიშნა სამარშრუტო ავტობუსი, რომელიც ყოველი თვის ბოლოს, გამშვები პუნქტის გახსნის პარალელურად იმოძრავებს.

მიკროავტობუსის დანიშვნა ოძისის გამშვებ პუნქტზე ახალი რეგულაცვიის გამო გახდა საჭირო, რათა მოსახლეობას მაქსიმალურად გაუადვილდეს გადაადგილება.

მიკროავტუბუსის მოძრაობის გრაფიკი შეიძლება შეიცვალოს მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად.

საკონტაქტო ტელეფონი: 599 62 52 50 (მძღოლი)

ახალგორი
ახალგორის მუნიციპალიტეტის გაზეთი
რედაქტორი ანა ყურშავიშვილი
კონტაქტი: ტელ: +995 593 501279
mail: gazeti.akhalgori@gmail.com

იაპონიის მთავრობამ ახალგორის მუნიციპალიტეტს მძიმე ტექნიკა გადასცა

წეროვნის დევნილთა დასახლებას იაპონიის ახლადდანიშნული ელჩი იშიძუკა ჰიდეკი სტუმრობდა. მან იაპონიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტის - „ახალგორის მუნიციპალიტეტისთვის მძიმე ტექნიკის შეძენა" - გახსნის ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

ღონისძიებაზე ახალგორის მუნიციპალიტეტს პროექტის ფარგლებში შეძენილი მძიმე ტექნიკა ოფიციალურად გადაეცა. ექსკავატორის დახმარებით, ფრეზეთის, წეროვნისა და წილკნის დევნილთა დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობა გაუმჯობესებულ მუნიციპალურ-ინფრასტრუქტურულ სერვისებს მიიღებს. გრანტის მოცულობა 66 674 აშშ დოლარს შეადგენს.

ღონისძიების ფარგლებში, გაიმართა გაცნობითი სახის შეხვედრა, რომელსაც მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილე გიორგი ჩიფჩიური, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერი დიმიტრი ზურაბიშვილი, ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელი გელა შერმადინი, საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ბალაშვილი და სხვები ესწრებოდნენ.

შეხვედრის მონაწილე მხარეებმა ერთმანეთს პროექტის მომზადებისა და განხორციელებისათვის მადლობა გადაუხადეს და სამომავლო თანამშრომლობისათვის კვლავ მზადყოფნა გამოთქვეს.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან 15 წელი გავიდა

2008 წლის 7 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს მრავალწლიანი კონფლიქტი რუსეთის ღია სამხედრო აგრესიაში გადაიზარდა, რასაც ასეულობით ადამიანის მსხვერპლი, ეთნიკური წმენდა და რუსეთის მიერ საქართველოს ორი რეგიონის ოკუპაცია მოჰყვა.

რუსული საოკუპაციო ძალების ინტერვენციების შედეგად საქართველოს 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 170 სამხედრო და 14 პოლიციელი დაიღუპა. საკუთარი საცხოვრებელი 150 ათასმა ადამიანმა დატოვა, საიდანაც უმრავლესობა კვლავ დევნილობაში რჩება.

სამხედრო კონფრონტაცია რუსეთმა საქართველოსთან 2008 წლის გაზაფხულიდან დაიწყო. ვითარება კოდორის ხეობის გარშემო აპრილიდან დაიძაბა. მოსკოვმა აფხაზეთში დამატებითი სამხედრო ძალების და მძიმე ტექნიკის შეყვანა დაიწყო. რუსულმა ავიაგამანადგურებელმა კი ქართული უპილოტო მზვერავი აპარატი ჩამოაგდო. ამას სარკინიგზო ჯარების შემოყვანა მოჰყვა, რომლებმაც სოხუმიდან ოჩამჩირემდე ლიანდაგის აღდგენის ინტენსიური სამუშაოები დაიწყეს. მათი დასრულებისთანავე, ივლისის ბოლოდან ამ რკინიგზით აფხაზეთში სამხედრო ეშელონები დაიძრა.

ამასთანავე, რუსეთის დუმაში უკვე 2008 წლის გაზაფხულზე შევიდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის

დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარების კანონპროექტი. ივლისში რუსეთმა საქართველოს საზღვრებთან დიდი სამხედრო მანევრები - კავკაზ 2008 ჩაატარა. წვრთნების შემდეგ სამხედრო ნაწილები საქართველოს საზღვრებთან რჩებოდნენ. მრავალი წყარო და დოკუმენტი ადასტურებს, რომ ღია კონფლიქტის დაწყების წინ რუსულმა რეგულარულმა ნაწილებმა როკის გვირაბით საქართველოში მალულად შემოსვლა დაიწყეს.

სიტუაცია ცხინვალის გარშემო ივლისის ბოლოდან დაიძაბა. 2 აგვისტოს ქართული პოლიციის მანქანა ააფეთქეს. ამის შემდეგ ორმხრივი სროლები გახშირდა,

დასასრული მე-4 გვერდზე

<u>საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით</u>

ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ყველა ბავშვს, სახელმწიფო დაფინანსებით, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესაძლებლობა, საქართველოსთან ერთად, თურქეთის, ისრაელისა და ესპანეთის წამყვან კლინიკებში ექნება

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ყველა ბავშვს, სახელმწიფო დაფინანსებით, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესაძლებლობა, საქართველოსთან ერთად, თურქეთის, ისრაელისა და ესპანეთის წამყვან კლინიკებში ექნება. პროექტის წლიური ბიუჯეტი, დაახლოებით, 30 მილიონი ლარია.

უცხოეთში სერვისის მიმწოდებლად, წინასწარი ბაზრის კვლევის საფუძველზე, უკვე შერჩეულია თანამედროვე სტანდარტების, საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე მაღალტექნოლოგიური კლინიკები, სადაც ერთ სივრცეში გაერთიანებულია მომსახურების სრული სპექტრი.

პროექტის ფარგლებში, პაციენტებს შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ მაღალხარისხიანი, მაღალტექნოლოგიური სამედიცინო სერვისები, მათ შორის, პროტონოთერაპია, რომელიც, გარკვეული ტიპის სოლიდური სიმსივნის სამკურნალოდ, უკანასკნელი სიტყვაა თანამედროვე მედიცინაში.

საკითხის განხილვისას ხაზი გაესვა, რომ ხარისხიან ონკოლოგიურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით ბავშვთა ასაკში, სახელმწიფოს პრიორიტეტია.

ჯანდაცვის სამინისტროსა და სამედიცინო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებები უკვე გაფორმდა. „სოლიდარობის ფონდის“ ინფორმაციით, **ონკოლოგიური დაავადებების მქონე 18-წლამდე ბავშვების უცხოეთის კლინიკებში მკურნალობისთვის განაცხადების მიღება ჯანდაცვის სამინისტროში 24 ივლისს დაიწყო. ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვები, სამედიცინო მომსახურებას როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ - ესპანეთში, ისრაელსა და თურქეთში საჭიროების მიხედვით მიიღებენ. კერძოდ, თურქეთის „ანადოლუს სამედიცინო ცენტრი“, ისრაელის „იხილოვის სამედიცინო ცენტრი“, ესპანეთის „პროტონოთერაპიის ცენტრი“. ამ სამ კლინიკაში იქნება შესაძლებლობა, პაციენტმა გაიაროს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კურსი იმის მიხედვით, რა დიაგნოზი აქვს კონკრეტულ ბავშვს, რა საჭიროებები აქვს. ასევე, ოჯახის არჩევანსა და კლინიკის შესაძლებლობებზე იქნება დამოკიდებული კონკრეტული კლინიკის არჩევა, სადაც ბავშვი გაემგზავრება. სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სერვისპაკეტს სთავაზობს ეს პროგრამა. თურქეთის შემთხვევაში, ოჯახი თუ გადაწყვეტს და თურქეთში მიიღებს სამედიცინო სერვისს, მომსახურების პაკეტში შედის როგორც სრული სამედიცინო სერვისი, ასევე პაციენტისა და ერთი თანმხლები პირისთვის საცხოვრებელი ხარჯი. ისრაელსა და ესპანეთში მხოლოდ სამედიცინო სერვისი მოიაზრება და ასევე გამგზავრებას საქართველოდან უზრუნველყოფს „სოლიდარობის ფონდი“.**

18 წლამდე პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობის პროგრამა გარდამავალი ეტაპი იქნება, ვიდრე საქართველოში არ გაძლიერდება სერვისები და არ შეიქმნება თანამედროვე სტანდარტების, მაღალტექნოლოგიური აპარატურით აღჭურვილი ბავშვთა ონკოლოგიური სახელმწიფო ცენტრი, სადაც ხელმისაწვდომი იქნება სამედიცინო სერვისების სრული სპექტრი. ამ მიმართულებით, ჯანდაცვის სამინისტრო აქტიურად მუშაობს.

უკვდავებამინიჭებული 19 წლის ჯარისკაცი

აგვისტოს ომის გმირის ლევან მიდელაშვილის დამ თეონა მიდელაშვილმა თბილისის ილიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროში მუშაობს... 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს ის მხოლოდ 8 წლის იყო...

თეონა წარმატებული გოგონაა, თუმცა, გულისგულში დიდ ტკივილს დაატარებს აღმატებულ სიამყესთან ერთად – მისმა ძმამ ლევან მიდელაშვილმა სამშობლოს შესწირა ყველაზე ძვირფასი – სიცოცხლე. მის სახელს სიამყით წარმოთქვამენ ახალგორელები, მის ხსოვნას მარტო ახალგორელები კი არა, „ქვეყანა სანთლებად აინთებს“...

ყოველი წლის ზაფხული, განსაკუთრებით ივლის-აგვისტო 15 წლის წინანდელი ომისგან მოყენებულ ჭრილობებს გვახსენებს, თუმცა იმ გმირთა ხსოვნა, ვინც საქართველოსთვის იომა და დათმო სიცოცხლე, ყოველწამიერია.

აი, რა გვიამბო ლევან მიდელაშვილზე თეონამ.

– ლევანი ბავშვობიდან ოცნებობდა სამხედრო სამსახურზე და მოუთმენლად ელოდა როდის გახდებოდა 18 წლის, რათა მისთვის ჯარში წასვლის ნება მიეცათ. ამის შემდეგ 10 თვე ფოთში, სავალდებულო სამსახურში გაატარა და როდესაც სახლში დაბრუნდა, ეს, რა თქმა უნდა, ყველასთვის, მათ შორის, ჩემთვისაც, ძალიან ემოციური იყო, რადგან ჩვენი ურთიერთობა ბევრად განსხვავებული იყო, ვიდრე სხვა და-ძმების, – როცა მე დავიბადე, ის უკვე 10 წლის იყო და ჩემს აღზრდაში ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის. ის მცირე დრო, რომელიც ერთად გავატარეთ, საკმარისი აღმოჩნდა, რომ იგი ჩემთვის პიროვნების, ძმის, სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანის იდეალად

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან 15 წელი გავიდა

მე-3 გვერდიდან

ქართული სოფლები რეგულარულად იბომბებოდა ცხინვალის მხრიდან. ბევრი ადამიანი დაშავდა. 6 აგვისტოს სოფელ ავნევთან ორი ქართველი მშვიდობისმყოფელი დაიღუპა.

სწორედ ამ დროს რუსეთმა, მასშტაბური სამხედრო წვრთნების შემდეგ, სამხედრო ნაწილების საქართველოს საზღვრებთან ჯარების კონცენტრაცია დაიწყო. მრავალი წყარო და დოკუმენტი ადასტურებს, რომ რუსულმა რეგულარულმა ნაწილებმა როკის გვირაბით საქართველოში მალულად შემოსვლა დაიწყეს.

საპასუხო ცეცხლის გახსნა 7 აგვისტოს, ღამით მას შემდეგ გადაწყდა, რაც ქართული მხარის მიერ ცეცხლის ცალმხრივად შეწყვეტის შემდეგ, ოსურმა და რუსულმა ფორმირებებმა დაბომბვა კიდევ უფრო გააძლიერეს.

ქართული ქვედანაყოფები ცხინვალში შევიდნენ. თუმცა, მალევე კონფლიქტში რუსეთი უკვე ღიად ჩაერია. რუსულმა ავიაციამ ქართული პოზიციებისა და დასახლებული პუნქტების დაბომბვა დაიწყო, ცხინვალისკენ რუსული სახმელეთო ძალები დაიძრა. 11 აგვისტოს ქართულმა ჯარმა თბილისისკენ, უკან დაიხია. კონფლიქტი სარკოზი-მედვედევის შეთანხმების გაფორმებით დასრულდა, რომელსაც რუსეთი დღემდე არ ასრულებს და საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციას აგრძელებს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ

საქმეზე “საქართველო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ” სარჩელი ძირითადად დააკმაყოფილა — სტრასბურგის სასამართლომ რუსეთის მიერ ადამიანის უფლებათა კონვენციის დარღვევა თითქმის ყველა ძირითად მუხლში ცნო.

სასამართლომ წარდგენილი 8 მუხლიდან რუსეთის დარღვევა 6 მუხლში დაადგინა, მათ შორის სიცოცხლის უფლების, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვის, პირადი ან ოჯახური ცხოვრების თავისუფლების პატივისცემისა და საკუთრების უფლების, გადაადგილების თავისუფლებისა და თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებების ნაწილში.

ლევანის მშობლები გმირის საფლავთან

ჩამოყალიბებულიყო. ყოველთვის მისაბაძი იქნება მისი თვისებები და ის დამოკიდებულება, რომელსაც გარშემო მყოფებისადმი ამჟღავნებდა. სწორედ ამის გამო, იგი სოფელში ყველას ძალიან უყვარდა.

8 წლის ვიყავი, როცა ლევანი ჯარში წავიდა და მას შემდეგ ყოველდღიური კონტაქტი აღარ გვქონია, მაგრამ ყოველთვის ცდილობდა ისეთ მნიშვნელოვან მომენტებში, როგორიც იყო ჩემი დაბადების დღე ან სასკოლო ზეიმი, ჩემ გვერდით ყოფილიყო. ყოველთვის ცდილობდა გავეხარებინე და მუდამ საჩუქრებით მანებივრებდა. იმ დროს ძალიან პატარა ვიყავი და ვერ ვხვდებოდი, მაგრამ ახლა უკეთ ვაცნობიერებ, თუ რამდენად დიდი ბედნიერება იყო მასთან ურთიერთობა. ჩვენ არა მარტო და-ძმა, არამედ მეგობრებიც ვიყავით და რომ არა აგვისტოს ომი, დარწმუნებული ვარ, დღეს იგი ჩემი საუკეთესო მეგობარი და მესაიდუმლე იქნებოდა.

ჩემთვის წარმოუდგენლად რთულია ამ თემაზე საუბარი, მაგრამ კიდევ უფრო დიდი სიამაყეა, როცა ხვდები, რომ ასეთი დიდი პიროვნების და ხარ, ამიტომ ყოველთვის ვცდილობ ვიყო ისეთი, როგორიც მას უნდოდა რომ ვყოფილიყავიყი და მგონია, რომ ის ჩემით აუცილებლად იამაყებდა.

მიუხედავად იმისა, რომ სწავლა დიდად არ იზიდავდა, სკოლაში ყველას ძალიან უყვარდა, რადგან იგი ცელქი, მაგრამ ამავდროულად თბილი და კეთილი ბავშვი იყო. ამიტომ ლევანის სოფლიდან წასვლა ყველამ ძალიან განიცადა და მოუთმენლად ელოდნენ მის ჩამოსვლას. ეს განსაკუთრებით დიდი სიხარული იყო ლევანის მეგობრებისთის, რომლებთან ერთადაც მან ბავშვობის საუკეთესო წლები გაატარა. ყველას, ვინც იცის, თუ რამდენად რთული და საპასუხისმგებლოა სამხედრო სამსახური, უკვირდა, თუ როგორ იყო ლევანი ამ ყველაფრით ასეთი ბედნიერი და კმაყოფილი. მას თავისი საქმე ძალიან უყვარდა და აცნობიერებდა, რომ ვალდებული იყო საკუთარი სამშობლო დაეცვა.

ომიდან 15 წელი გავიდა, მაგრამ ლევანს დღესაც ყველა დიდი სიყვარულით იხსენებს, რადგან მათ მეხსიერებაში 19 წლის ღიმილიანმა ბიჭმა წარუშლელი კვალი დატოვა.

2023 წლის საგაზაფხულო გაწვევა სავალდებულო სამხედრო სამსახურში წარმატებით დასრულდა

დასრულდა 2023 წლის საგაზაფხულო გაწვევა სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

დავალება შესრულებული იქნა წარმატებით.

საშემოდგომო გაწვევა დაიწყება 1 სექტემბრიდან.

სამხედრო სამსახურის გავლისგან გადავადებით ისარგებლებენ ის წვევამდელები, რომლებიც სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში.

ამასთან ერთად, საქართველოს კანონის "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" 30-ე მუხლით გადავადებით სარგებლობენ ერთწლიანი პროფესიული კოლეჯის სტუდენტებიც.

გაწვევის ორგანიზებაში სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური მადლობას უხდის ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგებელს გელა შერმადინს.

ისტორიის ფოლიანტები

სოფელ მიდელაანის წარსული და დღევანდელობა

დავით ახლოური

სოფელი მიდელაანი მდებარეობს ქსნის მარჯვენა მხარეს, ზღვის დონიდან 1320 მეტრზე. ახალგორიდან 24 კმ.-ის დაშორებით. ეს სოფელი ჩემი დედულეთია, აქ დავიბადე და გავიზარდე, ამიტომაც განსაკუთრებით ახლობელი და მშობლიურია ჩემთვის.

სოფელში სამი სალოცავი იყო, მიდელაანთ ხევის მარჯვნივ - წმინდა გიორგის ნიში, ასევე წმინდა გიორგის სახელზე ჯვარი იყო აღმართული სოფლის უკან, დასავლეთით, ხოლო სოფლიდან მოშორებით, მიდელაანთ ხევიდან ჩრდილო-დასავლეთით მიმავალ გზაზე ქაშუეთის სახელობის სალოცავი მდებარეობს. ქაშუეთის დეკანოზები თანდილაანთ შტოდან იყვნენ - ადრე ამირან მიდელაშვილი, ბოლოს მისი ვაჟი - ილია... წმინდა გიორგის ხევის დეკანოზობა კი გოგილაანთ შტოს ჰქონდა დაკისრებული. ამ საპატიო საქმეს ყიდა ივანეს ძე მიდელაშვილი ასრულებდა... სოფლის ტერიტორიაზე შემორჩენილია ციხის ნაშთებიც...

მიდელაშვილები არაგვის ხეობიდან არიან მიდელაანში მიგრირებულნი, კერძოდ, სოფელ მიდელაურებიდან, რომელიც ხადის ხეობაშია. ხადელმა მიდელაურმა ქსანზე ახალ საცხოვრისს მიდელაანი უწოდა. მისი შთამომავლები კი მიდელაშვილებად დაეწერნენ.

დასასრული მე-10 გვერდზე

მოსწავლისთვის უნდა იყო არა მარტო მასწავლებელი, არამედ – მეგობარიც

გორელი თამარ ქოზაშვილი ახალგორელი შერმადინების რძალია. ოთხი წელია, წეროვნის მესამე საჯარო სკოლაში მუშაობს. მათემატიკის სიყვარული და პროფესიად არჩევა მამის მათემატიკოსობამ განაპირობა. ახლახან, ნიჭიერ და მიზანდასახულ თამარს მათემატიკის დოქტორის ხარისხი მიენიჭა. ამ საპატიო ჯილდოს მოსწავლეების, მათი მშობლების და კოლეგების გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა ახლავს. თამარს ჩვენი გაზეთის მკითხველთა სახელით საუკეთესო სურვილებით ვულოცავთ დოქტორის ხარისხს და გვჯერა თავის ცოდნას და გამოცდილებას კვლავ უშრეტი ენერგიით, სიყვარულით გადასცემს მომავალ თაობას.

– მასწავლებლის „დანიშნულება და'საღმრთო ვალი"...

– ჩემი აზრით, ეს არის ბავშვისათვის არამარტო ინტელექტუალური საზრდოს მიწოდება და მისი განათლება, არამედ – აღზრდა და ზნეობრივად ჯანმრთელ პიროვნებად ჩამოყალიბებაც. მასწავლებელი უნდა იყოს ბავშვისთვის მისაბაძი მაგალითი. ის უნდა დაეხმაროს ბავშვებს ცხოვრებაში თავისი ღირსეული ადგილის პოვნაში.

– მათემატიკის „მიზიდულობის" ძალა...

– ცხოვრებაში, ზოგადად, მიყვარს სირთულეების დაძლევა და მათემატიკაშიც სწორედ ამ სირთულეებს ვხედავ, მათ ვხსნი და პასუხებს ვპოულობ. ასევე, მათემატიკაში მომწონს ლოგიკური აზროვნება.

– სკოლა, მოსწავლეები.

– სკოლაში მიყვარს ბავშვებთან მუშაობა, მათთან ურთიერთობა. ვფიქრობ, რომ მათთან უნდა იყო არა მარტო მასწავლებელი, არამედ – მეგობარიც, გაიზიარო მათი სიხარული და დაეხმარო პრობლემის გადაწყვეტაში.

– დოქტორის აკადემიური ხარისხი...

– დოქტორანტურაში ჩაბარება გადავწყვიტე ორი წლის უკან და საბუთები შევიტანე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე. სულ რამდენიმე კვირის წინ კი, წარმატებით დავიცავი და მომენიჭა დოქტორის ხარისხი.

– განათლების მინისტრი რომ იყოთ...

– სკოლაში ტექნიკური საგნების, მათემატიკა-ფიზიკა-ქიმიის სწავლებას მივაქცევდი მეტ ყურადღებას, რადგან, ვფქირობ, რომ სწორედ ტექნიკური საგნების წარმომადგენლები ქმნიან ქვეყანაში დოვლათს. კარგი გზები, ხიდები და ზოგადად, ასეთი ინფრასტრუქტურა ქმნის სახელმწიფოში ასეთ დოვლათს, ასევე მნიშვნელოვანია ახალი აღმოჩენები და გამოგონებები, რომლებიც ეხმარება კაცობრიობას განვითარებაში.

– სიყვარული, ოჯახი...

– ათი წელია, დაოჯახებული ვარ. მყავს მეუღლე და ერთი შვილი. მეუღლე დავით შერმადინი ახალგორის მუნიციპალიტეტის გამგეობაში მუსაობს, საფინანსო სამსახურში, არის გაწონასწორებული და ჭკვიანი ადამიანი.

ჩვენი შვილი ლადო სერმადინი წეროვნის მე-3 საჯარო სკოლის წარმატებული და ბეჯითი მოსწავლეა, აქვს ბევრი ჰობიც: ფეხბურთი, მუსიკა და სხვა.

– რა გიყვართ?

– მიყვარს სამართლიანობა, დაფასება, ოჯახი, სწავლა და მუყაითად შრომა. არ მიყვარს უსამართლობა, ადამიანების მოტყუება...

– რა გადარდებთ?

– მადარდებს ოჯახი, ნათესავები, ჩვენი ქვეყნის ბედი...

– რას ნანობთ და რას ნატრობთ?

– მე ვფიქრობ, რომ ახლანდელ მოსწავლეებს ცოდნის მიღების და გაღრმავების მეტი შესაძლებლობა აქვთ. მე რომ მოსწავლეობისას ასეთი პირობები მქონოდა, ბევრად მეტის გაკეთებას შევძლებდი.

ახალდაბის სკოლის მოსწავლეები „მადლობის სიგელებით" დაჯილდოვდნენ

მცხეთის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის კულტურის განყოფილებამ მოაწყო კონკურსი ,,ახალგაზრდა ნიჭიერი ხელოვანები", ორ ტურად, რომელშიც მონაწილეობდა 12-დან 18 წლამდე ასაკის 28 ახალგაზრდა. მათ შორის იყვნენ ახალგორელი მოსწავლეებიც ახალდაბის საჯარო სკოლიდან, რომლებიც კონკურსში აქტიური მონაწილეობისთვის „მადლობის სიგელებით" დაჯილდოვდნენ.

მოსწავლეები პირადად დააჯილდოვა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერმა დიმიტრი ზურაბიშვილმა და სიგელებთან ერთად, საჩუქრად წიგნებიც გადასცა.

ნანა ჩქარეული: იოცნებე, დაიჯერე, იშრომე და მიაღწევ!!!

წეროვნის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხელმძღვანელმა ნანა ჩქარეულმა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჯერ კიდევ ახალგორში ცხოვრებისას გამოიჩინა თავი, როგორც შემოქმედებითი ნიჭის, აზროვნების და იდეების ფართო არეალის მქონე გოგონამ, რასაც ერთვოდა გულისხმიერება, საქმის სიყვარული და მაღალი პასუხისმგებლობა.

ომის შემდგომ წეროვნის დევნილთა დასახლებაში ცხოვრებამ, დევნილობის სევდამ და ტკივილმა, შორეული ახალგორის მონატრებამ ფარ-ხმალი კი არ დააყრევინა, ეცადა, უფრო გაძლიერებულიყო და სხვათა დახმარებაც შესძლებოდა უანგაროდ. მან წლების წინ დააფუძნა ტიხრული მინანაქრის საწარმო'„იკორთა", სადაც დამზადებულ სამკაულებს განცვიფრებაში მოჰყავს არამარტო ქართველი მომხამრებელი, არამედ წეროვნის დევნილთა დასახლებაში მოსული უცხოელი სტუმრებიც. ნანა, ასევე, ხელმძღვანელობს მცხეთა-მთიანეთის რეგიონალურ ჰაბს, რომლის წინარე ორგანიზაცია იყო მის მიერვე დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაცია „უკეთესი მომავლისათვის".

ნანა ჩქარეულის საქმიანობა ფართო მასშტაბისაა. მოსწავლეთა სახლში, სადაც 200 ბავშვი იყრის თავს, სხვადასხვა სახელოვნებო და სასკოლო საგნის წრეებზე, პოზიტიური განწყობაა მუდამ წრეების ხელმძღვანელთა მხრიდანაც, მოზარდების და მათი მშობლების მხრიდანაც. გარდა წრეობრივი მუშაობისა, აქ ბევრი საინტერესო და მოზარდების აღზრდა-განვითარებისა და შემოქმედებითი უნარების ჩამოყალიბებისათვის საჭირო ასაკობრივი ღონისძიებები ტარდება, რაც ადგილობრვი ბიუჯეტიდან ფინანსდება.

მოსწავლეთა სახლში მუდამ ხალისია, მხიარული განწყობაა, აქ მიუხარიათ ბავშვებს, ახალგაზრდობას.

ნანა ჩქარეულის პირად ცხოვრებაშიც სიახლეა. პატარა გურამმა მისი ცხოვრება კიდევ უფრო ლამაზი და საინტერესო გახადა, დედაშვილობის მადლს აზიარა...

ნანა ჩქარეული მომავალს იმედის თვალით უყურებს. უყვარს საქმე, რასაც აკეთებს, თუმცა ერთი წელი დასჭირდა, გაეცნობიერებინა რეალობა, რომელშიც აღმოჩნდა, რათა ცხოვრება თავიდან დაეწყო. რამდენიმე წლის წინ დაწყებული ახალი ცხოვრებით და დღევანდელი საქმით, აპირებს ახალგორში დაბრუნებას: „ძალიან ვცდილობ, არ ვიფიქრო ახალგორზე. თუმცა, რასაც დღეს ვაკეთებ, მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: როცა დავბრუნდები, უფრო მეტი უნარი, ცოდნა, განათლება მქონდეს, რომ იქ ყველაფერი ნულიდან დავიწყო. ვერ გეტყვით, ეს უფრო ოცნებაა თუ იმედი.

2013 წლიდან არ ვყოფილვარ ახალგორში. დღეს ის მხოლოდ ჩემს სიზმრებშია. ძალიან იშვიათად ვნახულობ სიზმარს, თუმცა ყოველთვის ახალგორში დავდივარ და რაღაცას ვეძებ. მიუხედავად ყველაფრისა, ერთი რამ მაინც მაძლევს იმედს, – ის, რომ ახალგორში ადგილობრივად, ქართველებმა და ოსებმა კარგი დამოკიდებულება შეინარჩუნეს და ყველაზე მძიმე პერიოდშიც კი, ერთმანეთს ეხმარებოდნენ.

– შენ მიერ დაფუძნებულ ტიხრული მინანქრის საწარმო „იკორთაზე"'გვიამბე, – როგორ შეიქმნა, რა გამოწვევები გაიარა...

– როდესაც აქ დავიწყე ცხოვრება, ჩვენს გარშემო ძალიან ბევრი პრობლემა იყო. მე და ჩემმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ, პრობლემების დაძლევაში რაღაც ფორმით მიგვეღო მონაწილეობა. 2009 წელს დავაარსეთ არასამთავრობო ორგანიზაცია „უკეთესი მომავლისთვის", ახლა ის მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ჰაბია, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით მუშაობდა. მუშაობის პერიოდში დავინახეთ, რომ აუცილებელი იყო, ქალების დასაქმების ხელშეწყობის მიზნით რაღაც გაგვეკეთებინა და 2012 წელს შევქმენით „იკორთა".

პირველ ეტაპზე, მეგობრის დახმარებით შეისწავლეს ტიხრულ მინანქარზე მუშაობა. შემდეგ, სტაჟირება გაიარეს ტიხრული მინანქრის ერთ-ერთ საწარმოში. ბევრი მუშაობის შედეგად, წლებია უკვე, თავად ასწავლიან ტიხრულ მინანქარზე მუშაობას და ამავდროულად ქმნიან სამკაულების მრავალფეროვან კოლექციებს. „ჩვენი პროდუქცია იყიდება როგორც ადგილზე, ასევე ვთანამშრომლობთ რამდენიმე სასუვენირო მაღაზიასთან, საქართველოში ამერიკის საელჩოსთან. პროდუქციის გაყიდვაში გვეხმარება სოციალური ქსელებიც. გვაქვს ინდივიდუალური და კორპორატიული შეკვეთები. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ დიზაინერი არ გვყავს და ყველა ავტორი, ვინც მუშაობს, თვითონ არის თავისი ნამუშევრის დიზაინერი. შესაბამისად, პროდუქცია მრავალფეროვანია და მომხმარებელი ყოველთვის პოულობს თავისთვის საინტერესოს და სასურველს.

რაც შეეხება გამოწვევებს, ჩვენ ვიცოდით პროექტების წერა და მართვა, მაგრამ არ გვქონდა ბიზნესის გამოცდილება, რაც გვაიძულებდა, მოგებაზე გვეფიქრა. სხვანაირად საწარმო ვერ განვითარდებოდა. ვერც დასაქმებას შევუწყობდით ხელს, რაც ჩვენი პირველადი მიზანი იყო. როგორც არ უნდა იყოს, სწორედ პროდუქციის გაყიდვაზეა დამოკიდებული, რამდენ სამუშაო ადგილს შევქმნით.

საწარმოსთვის რთული აღმოჩნდა პანდემიის პერიოდი. თითქმის ორი წელი საწარმო გაჩერებული იყო. თუ პანდემიამდე 12 ადამიანი მუშაობდა, დღეს საწარმოში მხოლოდ 6 ადამიანია დასაქმებული.

დღესდღეობით საწარმო თვითშენახვადი ბიზნესია, თუმცა, განვითარებისთვის და ახალი ეტაპებისთვის ცდილობენ გრანტების მოპოვებას. ჩვენ პროდუქციას ძირითადად უცხოელებისთვის ვაკეთებდით, მაგრამ პანდემიის პერიოდმა დაგვანახა, რომ აუცილებელია, ისეთი პროდუქციის შექმნა რომელიც ადგილობრივ მომხმარებელზეც იქნება ორიენტირებული. გასულ წელს ევროპის ფონდის მხარდაჭერით შევქმენით ახალი კოლექცია ახალგორის განძის მოტივებზე, რომლის დიზაინიც ადგილობრივ მომხმარებლის გემოვნებაზეა მორგებული.

დასასრული მე-12 გვერდზე

„ქსანი რიყიდან გვეფერებოდა...“

საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, ნიჭიერი პოეტი ემიგრანტი ნორა მორბედაძე, რომლის ინტერესის სფერო პოლიტიკა და ლიტერატურაა, შორეული იტალიიდან გვწერს: „ძალიან ხშირად ფიქრიც კი მეცრემლება, როცა ჩემს ოკუპირებულ ახალგორს, ჩემს ლაღი ბავშვობის საბუდარს მორბედაანს წარმოვიდგენ... თვალს დავხუჭავ და თითქოს ცხადად ჩამესმის ვერცხლურა ქსნის ტალღების ხმა, ჩემი ბავშვობის ემბაზი... არ მიყვარს აგვისტო, ტკივილი და სევდა შემომეხვევა ხოლმე გულზე... და ამ ტკივილს, მომავლის იმედს ლექსებად ვაგვირისტებ, ჩემო ახალგორელებო“...

ᲘᲥ...

იქ, ჯოჯოხეთის ალში იწვის ყაყაჩო ქართლში,
და ყელის ტბიდან, ქსანი ეძებს დაკარგულ შვილებს,
– თქვენ არასოდეს, არავისთან არა ხართ ვალში!
თქვენ ჩემს მკლავებში გაიზარდეთ... – გარემოს იკლებს...
დახურულია ჩალა-ბულით სამყაროს ქოხი,
სისხლით მორწყული ჩემი მიწა მოხუცს ვერ იცავს,
მორბის და ხნულში უვარდება ხელიდან თოხი,
დაკოჟრილ ხელებს ღმერთს ავედრებს: „ჩემია ეს ცა...“
ველით გაზაფხულს, შემოდგომას, ზამთარს და ივლისს,
დრო იცვლება და სამართალი აქლემით მოდის,
ვიღაცა ხვრინავს... საღათას ძილით გაბრუებული,
მოღალატეთა ,,ორგიებს” ითვლის.
როდემდე ასე გულუბრყვილოდ? როდემდე? როდის?!
მე ვერ გავატან ჩემს ბავშვობას ქარიშხალს სადღაც,
არავინ მითხრას, არ მეძახის ქსანი სიზმარში,
ჩემი აკვანი იქ დაირწა, იქა ვთქვი ,,ია”,
არავინ მითხრას, აღარ ჰყვავის ყაყაჩო ქართლში!!!
დახურულია ჩალა-ბულით სამყაროს ქოხი...

2020 წ. იტალია

ᲓᲦᲔᲐ ᲣᲘᲦᲑᲚᲝ...

ვერ მოვისვენე, დღეა უიღბლო,
თითქოს აწყვია ხელებს ხუნდები,
ვუმეგობრდები ერთ ჭიქა ყავას და
ჩემს სამყაროს კვლავ ვუბრუნდები.
გროვდება დარდი – გიშერი შავი,
ცაზე ნისლები
თეთრად ორთქლდება,
ქაოსში ბოდავს დღეს არემარე, მერე
კოშმარით ისევ თენდება...
ან ფოთოლცვენას ვინღა შეიგრძნობს,
გაძარცვულ ხეთა მდუმარე ფიქრებს,
ქარი თარეშობს, შიშის თვალებით,
სხივი მალული ნელ-ნელა იკლებს.
და მოვარდნილი ზღვიდან შლეგივით,
აფორიაქებს მდუმარე ლერწამს,
კეთილშობილი სული აქვს პოეტს,
რადგან სევდიან სტრიქონებს ძერწავს.
დიდი ხანია, ველით გაზაფხულს და
აღარც ჩვენი ვარსკვლავი ანთებს,
მეორედ მოსვლა,თუ ,,ეშაფოტი,”
რომ ველარ ვუნთებთ
ახლობლებს სანთლებს.
ირგვლივ სიცივე ისე ნავარდობს,
საით მივყვებით ბილიკებს შეშლილს,
ოღონდ გადავრჩეთ ამ უღმერთობას,
ოღონდ გადავრჩეთ
სულიერ შიმშილს...
მალე ჩამოთოვს ეს დეკემბერი,
შორად წამიღებს ისევ სიშორე,
რომ ნოსტალგია ჩემი ზეცისა,
წლებია, ვწუხვარ, ვერ მოვიშორე.
განთიადიდან ავადმყოფ მიწას, ისევ
გავყვებით ქათქათა თოვლში,
არც ერთ ემიგრანტს
არ სძინავს გარეთ,
ჩვენ გვძინავს მშვიდად
ჩვენს სამშობლოში!
ვერ მოვისვენე, დღეა უიღბლო,
თითქოს აწყვია ხელებს ხუნდები,
ვუმეგობრდები ერთ ჭიქა ყავას და
ჩემს სამყაროს კვლავ ვუბრუნდები...

2 დეკემბერი. 2020. იტალია

ᲛᲝᲭᲐᲠᲑᲔᲗ ᲖᲔᲪᲐ...

დახურეთ ზეცა, დაუხრიათ
თავი ტირიფებს, – არ გვინდა ომი!
გზა სიცოცხლესა და არა ნაღმებს!
სამყარო უკვე შეშლილია,
გული ვერ უძლებს...
როდის მოვიხსნით ამ ცოდვიან
ფოლადის ნიღბებს?!
მოქარგეთ ზეცა ზამბახებით,
დარგეთ ვარდები,
აცადეთ სუნთქვა პატარებსა,
უფალი გოდებს...
ხედავთ? – ყველანი ჯოჯოხეთის
ცეცხლში ვცვივდებით,
და ვემსგავსებით ნელა-ნელა
უკვე ქვის ლოდებს!!!

7.03.2022. იტალია

ᲥᲡᲜᲘᲡᲮᲔᲝᲒᲔᲚᲘ

არჩილ ტატუნაშვილის ხსოვნას

მე მზრდიდა ქსანი, ანკარა და ისე ერთგული,
სიზმარშიც ვეძებ, შემახვედრა სადმე მშვიდობა!
ცა მოიღრუბლა, კიდევ ერთი გაჩერდა გული,
სად გაქრა ამ ცივ სამყაროში ძმობა და ნდობა!
მე მზრდიდა ქსანი და ტალღები მირწევდა აკვანს,
აუსხლეტიათ ახალგორში ვერხვებს წვივები,
შენც წუთისოფლის შვილი გქვია, ვახსენებ მავანს!
მიდიან ზეცად განწირული მთის არწივები!
ასე უბრალოდ, ასე უღმერთოდ,
ქართულ მიწაზე გაგწირეს რისთვის?!
ქსანი ჩადგება კვლავ კალაპოტში, სისხლიან ხელებს
უფალი ითვლის!
მაშ, როგორ იტევს, დედამიწა ამდენ სისხლს დაღვრილს?!
ან ამდენ ღალატს, მუხანათურს, თან მერე ვისგან...
პურს ერთად ვჭამდით, ძმობა გვქონდა და მიკვირს ბოლოს...
ან რა უფლებით გაიმეტეთ შექმნილი ღვთისგან?!
დანაშაული?! ერთი მაქვს ქართველს –
ვიცავ ჩემს დროშას,
წინაპრების მოტანილ მიწას!
ვარ გაბნეული ქსნის ნაპირას
ყაყაჩოებად,
და ჩემს სამშობლოს, მე იმ დღიდან, იქიდან ვიცავ!!!

2018.28.2. იტალია

ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐᲕᲘᲙᲐᲠᲑᲔᲗ...

მდუმარე ღამე, როცა ვარსკვლავებს,
შებინდებისას ეთხოვებოდა,
მუხა ფერდობზე შლიდა
მძლავრ მკლავებს,
ქსანი რიყიდან. გვეფერებოდა...
ჩვენ დავიბადეთ ვერხვის ჩეროში,
ვიყავით მგელიც და წითელქუდაც,
მივყავდით ტყეში სოკოს საკრეფად,
გვეკიდა ზღმარტლით პირსავსე
გუდაც.
და როცა მგლები უყეფდნენ
მთვარეს,
გვეძინა წყნარად დედის უბეში,

„ივერიელებმა“ ბულგარეთის ფესტივალზე გრანპრი მიიღეს

უკვე 10 წელზე მეტია, რაც ქორეოგრაფიული ანსამბლი „ივერია“’ახალგორელთა სავიზიტო ბარათად იქცა. შარშან ანსამბლს სანიმუშო საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის წოდება მიენიჭა. ანსამბლი წეროვნის დევნილთა დასახლებაში ფუნქციონირებს და მისი დამაარსებლის ვახტანგ ციმაკურიძის სახელს ატარებს

„ივერიელები“ ამ დღეებში დაბრუნდნენ ბულგარეთიდან, სადაც ქალაქ ნესებრში საერთაშორისო ფესტივალზე ‘RAVDA’’იღებდნენ მონაწილეობას. ვესაუბრეთ ანსამბლის ხელმძღვანელებს მაია ქურთაულსა და კახაბერ მარკოიშვილს, რომელთაც გვითხრეს, რომ’„ივერია“ ღირსეულად წარსდგა უცხოელი მაყურებლის წინაშე. ბავშვებმა შესანიშნავად და რომ იტყვიან ქართული ხელოვნების ცეცხლი დაანთეს სცენაზე’„ქალ-ვაჟთა მთიულურით“’და „ყაზბეგურით“. დიდხანს უკრავდა ტაშს და აპლოდისმენტებს უძღვნიდა ქართველ მოცეკვავეებს ფესტივალზე მოსული მაყურებელი.

ანსამბლის წევრების გაწეული შრომის, მეცადინეობის, მონდომების შედეგად ბულგარეთიდან გრანპრი წამოიღეს...

ვულოცავთ „ივერიელებს“’ამ ღირსეულ ჯილდოს და მადლიერებით დავასახელებთ თითოეულ მათგანს: **ნინი და ქეთი ქურთაულები, ნინი წინამძღვრიშვილი, მაკა ბედოევი, გვანცა პაპიძე, მარიამ ჯაშიაშვილი, ბოკა კაჯილაშილი, საბა ბოღრაშვილი, ნიკა ბლიაძე, დათო ნიაური, ნიკოლოზ მალიშავა, ტატო ბაშარული.**

ღარიბი, მაგრამ სულით მდიდარი,
ვიყავით ერთად, იყო ნუგეში.
ჩვენ დავიკარგეთ დროში, სივრცეში,
გვყოლია ბევრი ,,ბერი თევდორე,,.
შემოგვრჩა გენი ქვაზე უტეხი,
მცხეთასთან კოცნის ქსანს
მტკვარი მდორე...
ოხ, ღმერთო ჩემო-ეს უღმერთობა,
როგორ გვაწვალებს
სულით ქართველებს,
მოგიხმობთ მეკვლედ
ოსებს, აფხაზებს,
ჩემი ბავშვობის
ტკბილ მოგონებებს.
ლაღი ბუნების შვილი ვარ, ლაღი,
თავისუფალი, როგორც არწივი!
აუსხლეტია ლომისის მთაზე,
აშოლტილ თელას, მაღალი წვივი.
უარი ვუთხრათ „ოძისის კედელს“,
გავხსნათ გული და კარიბჭე სულის,
ავახმიანოთ იქ აფხაზეთი,
მართლაც სამოთხე
მზისა და უფლის!!!

ნორა მორბედაძე

„სერვისცენტრის“ ცხელი ზაფხული

ახალგორის მუნიციპალიტეტის სერვისცენტრი ზაფხულის თაკარა მზეშიც აწარმოებს გზების რეაბილიტაციის სამუშაოებს. დასასრულს უახლოვდება წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე საავტომობილო გზის სამუშაოები, ასევე მალე დასრულდება პარკისა და სტადიონის მომდებარე საავტომობილო და თბილისისაკენ მომავალი გზის (სადაც ხილვადობა სუსტი იყო) რეაბილიტაცია.

წეროვნის დევნილთა დასახლებაში ბავშვების და ახალგაზრდების საყვარელი თავშეყრის ადგილია სტადიონი, სადაც ისინი ხან უბნებად და ხანაც გუნდებად დაყოფილნი თამაშობენ ფეხბურთს, სხვადასხვა სპორტულ თამაშობას. სტადიონი რეაბილიტაციას მოითხოვს და აი, ახლახან ჯანსაღი, სპორტის მოყვარული მომავალი თაობის ხელშეწყობის მიზნით დაიწყო სტადიონის სრული რეაბილიტაცია. სამუშაოები ხორციელდება მცხეთის მერიის მიერ გამოცხადებული ტენდერის საფუძველზე, ეს სამუშაოები მალე დასრულდება.

სოფელ მიდელაანის წარსული და დღევანდელობა

მე-5 გვერდიდან



ჩვენამდე მოღწეული გადმოცემით, ქსნის ხეობაში ძმები მიდელა და გაროზა უნდა გადმოსულიყვნენ, თუმცა ამ ორი გვარის გაყოფა მიდელაშვილების ქსანზე დამკვიდრების შემდგომდროინდელ მოვლენად მიმაჩნია...

არაგველი მიდელაურები, თავდაპირველად თანამედროვე მიდელაანის დასავლეთით დასახლდნენ, შედარებით მაღალმთიან ადგილზე, ქაშუეთის ტაძრის მახლობლად, სადაც იკვეთება ძველი სამოსახლოს კვალი... სოფლის მკვიდრის, თითქმის 100 წელს მიღწეული მრავლისმნახველი კაცის სანდრო მიდელაშვილის (გარდ. 2021 წელს) მონათხრობით, ბარში მწერთა სიმრავლე სხვადასხვა დაავადების გავრცელების საშიშროებას ქმნიდა, რის გამოც მოსახლეობა საცხოვრებლად მთას ირჩევდა (ახლოური, 2006). ს. მაკალათიას მოსაზრებით კი „მუდმივი შუღლი და ბრძოლა, მოლაშქრეთა პირად ვაჟკაცობასთან ერთად, მოითხოვდა გამაგრებულ თავშესაფარს, სადაც შესაძლებელი იქნებოდა საგვარეულო ქონებისა და ოჯახის დაცვა. ამ მიზნით, საქართველოს მთიულები თავიანთ სოფლებს აშენებდნენ მაღალი მთის წვერზე, რომელსაც მტერი ძნელად თუ მიუდგებოდა" (მაკალათია, 1945). საინტერესოა ითქვას ისიც, რომ პლატოს ტერიტორია, რომელსაც მოსახლეობა გარძაბოურის სახელით მოიხსენიებდა, ვ. ქენქაძემ მიიჩნია ქარჩოხის ხევისთავის რეზიდენციად, რომლის სახელიც, სავარაუდოდ, ქოვსოითია და საიდანაც უნდა ყოფილიყო „ძეგლი ერისთავთაში" მოხსენიებული ერისთავთერისთავ იოვანეს უმშვენიერესი მეუღლე - მნათობი...

...

მართალია, მთის სოფლები სახნავი მიწების სიმრავლით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მოსახლეობა ცდილობდა, უფრო და უფრო მეტი ადგილების ათვისებასა და დამუშავებას, რასაც, უპირველესად, მზარდი დემოგრაფიული ვითარება მოითხოვდა. ქარჩოხის ხეობის უხუცესი ადამიანების ცნობით, გასული საუკუნის 60-იან წლებამდე მეზობელ სოფლებში მიდელაანში, ქენქაანსა და ხოზოეთში 110 ჰექტარი მიწა იხვნებოდა და დიდი რაოდენობით ხორბალი, ქერი და ჭვავი მოჰყავდათ.

60-იანი წლებიდან, როცა ფქვილის შეძენა პრობლემა აღარ იყო და მოსახლეობამ ცხვარი და საქონელი მოამრავლა, სახნავი ადგილები გაასაძოვრეს. ასე გრძელდებოდა მეოცე საუკუნის 90-იან წლებამდე... მძიმე ეკონომიკურმა პირობებმა ქსნის ხეობის მოსახლეობა ისევ აიძულა აეთვისებინათ მამაპაპისეული სახნავი ადგილები, სადაც პურის ნაცვლად უკვე კარტოფილი მოჰყავდათ, რომელსაც შიდა ქართლის რეგიონის ბარის სოფლებში ხორბალზე, ქერზე და სიმინდზე ცვლიდნენ.

ქენქაძეებსა და მიდელაშვილებს ათეული წლების წინ ბალაანშიც ჰქონიათ სათიბები, ლომის-ალევის მთებიდან შემოჭრილ მთაგრეხილზე, რომელსაც შემდგომ ბალაანელები და ჭორჭოხელები თიბავდნენ (ქენქაძე, 2010). ბოლოს, მიდელაანის მოსახლეობას სათიბი მიწები ჰქონდა სოფელ ძაბუეთში, რომელიც მეზობლად, ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა. XX საუკუნის 30-იან წლებამდე, ძაბუეთიდან ოსური მოსახლეობის გარკვეული ნაწილის წასვლის შემდეგ, მიდელაშვილების ილურთქლიანთ, კურდღელიანთ და ნიკოლაანთ შტოს მათგან სათიბი მიწები ოქროს გაღების საფასურად მიუღიათ. მართალია, სულ მალე, მიდელაშვილებს ნაყიდი მამულები კოლექტივიზაციამ ჩამოართვა და ოქროც დაკარგული აღმოჩნდა, მაგრამ კოლექტიური მეურნეობების დაშლის შემდეგ მიდელაანელებმა ძაბუეთი ისევ დაიბრუნეს... საერთოდ, ოქრო მიდელაშვილების ისტორიულ ყოფაში ხშირად ფიგურირებს; ოქროს განძი შეუწირავს ქაშუეთის სალოცავისთვის თანდილაანთ შტოდან - აბრამ მიდელაშვილს... 1918 წლამდე მიდელაშვილები მიცვალებულებს სოფელ ბალაანში წმინდა გიორგის ეკლესიის ახლოს ასაფლავებდნენ. „ეკლესიის სიახლოვეს დაკრძალვით, ჭირისუფალი მიცვალებულს განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა, ამიტომაც, წმინდა ადგილის საფასურად მიდელაშვილებს ოქრო გადაუხდიათ" (ახლოური, 2006) ასევე სოფელს ოქრო გაუღია გოგილაანთ გიგია მიდელაშვილის უკანონო პატიმრობიდან გამოსახსნელად. იგი ბოლშევიკებს თავისი ბიძაშვილის, ჩემი დიდი პაპის გიგო მიდელაშვილის ხელში ჩაგდების მიზნით დაუკავებიათ. გიგო ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი იყო და საბჭოთა რეჟიმს მუდმივ თვალსაწიერში ჰყავდა...

...უნდა აღვნიშნო, რომ სწორედ მიდელაანიდან გახლდათ ჩვენი დროის გმირი, ლევან ავთანდილის ძე მიდელაშვილი. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს ლევანი კაპრალი იყო, ყუმბარმტყორცნელად მსახურობდა მეოთხე ქვეითი ბრიგადის 41-ე მსუბუქ ქვეით ბატალიონში. ბოლოს 8 აგვისტოს ნახეს ცხინვალის მისადგომებთან, „შანხაის უბანში", ელექტროსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, როცა თანამებრძოლებთან ერთად მრავალრიცხოვანი მტრის მასიურ შემოტევას იგერიებდა... ოთხი თვის შემდეგ მოხერხდა მისი ამოცნობა და მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე გადმოსვენება. სიკვდილის შემდეგ „სამშობლოსათვის თავდადებულის" მედლით დააჯილდოვეს ახალგორელი ჯარისკაცი, გმირი, რომელიც 19 წლის ასაკში შეეწირა საქართველოს, იმისათვის, რომ ოკუპანტები მის მშობლიურ კერაზე არ გაბატონებულიყვნენ...

დავით ახლოური

წმიდა მოციქულთა პეტრე და პავლეს ხსენების დღე

12 ივლისს მართლმადიდებელი ეკლესია საზეიმოდ აღნიშნავს წმიდა მოციქულთა პეტრე და პავლეს ხსენების დღეს. ყველა მართლმადიდებლურ ეკლესიაში ამ წმინდა დღეს სპეციალური საზეიმო წირვა აღევლინება.

წმინდა პირველი მოციქულების პეტრე და პავლეს ხსენების დღე მხოლოდ მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულია. ითვლება, რომ სწორედ 29 ივნისს (იულიუსის კალენდრით, გრიგორიანული კალენდრით - 12 ივლისი) მოწამეს ეს წმინდანები რომში. პავლე მოციქულს მახვილით მოკვეთეს თავი, ხოლო პეტრე თავდაყირა ჯვარცმულ იქნა. მოციქულთა გარდაცვალების ზუსტი თარიღი უცნობია. დაახლოებით ეს I საუკუნის 70-იანი წლებია.

წმიდა მოციქულები პეტრე და პავლე უზენაესებად ითვლებიან, რადგან ისინი ყველაზე მეტად ცდილობდნენ ქრისტიანული რწმენის გავრცელებას. მათ აღიარეს იესო ქრისტე, როგორც ღმერთი, სიკვდილამდეც კი, რაც მათ გაუძლეს წარმართული ღმერთების თაყვანისცემაზე უარის თქმის გამო.

წმიდა მოციქულთა საპატივცემულოდ განსაკუთრებული საზეიმო დღესასწაული რომის იმპერიაში დაიწყო იმპერატორ კონსტანტინეს დროს, რომელმაც ქრისტიანობა გამორჩეული სახელმწიფოს რელიგიად აქცია. დაახლოებით 324 წლიდან კონსტანტინოპოლსა და იმპერიის სხვა ქალაქებში დაიწყო წმინდა მოციქულთა საპატივცემულოდ ეკლესიათა აღმართვა. ეს იყო წმინდა მოციქულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი სპეციალური დღესასწაულების დასაწყისი.

13 ივლისი — მცხეთობა-სვეტიცხოვლობა

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია 13 ივლისს "წმინდა დიდებულთა ათორმეტთა მოციქულთა კრებას" — სვეტიცხოვლობას აღნიშნავს. ამასთან დაკავშირებით ტაძრებში წირვა-ლოცვა სრულდება.\

ეს ტრადიცია არც წელს დარღვეულა. დღესასწაულთან დაკავშირებით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში საღმრთო ლიტურგიაარავლინა.

სვეტიცხოვლობის დღესასწაული წელიწადში ორჯერ, 14 ოქტომბერს და 13 ივლისს აღინიშნება. 14 ოქტომბერს ეკლესია ქრისტეს კვართს იხსენიებს, 13 ივლისს კი — ქრისტეს 12 მოციქულს.

წმინდა სახარების მიხედვით, იესო ქრისტემ 12 მოციქული გამოარჩია. მათგან ერთმა, იუდა ისკარიოტელმა იგი გასცა. შემდგომ მის ნაცვლად უფალმა მატათა მოციქული გამოარჩია, რომელმაც საქართველოში იქადაგა. ამდენად, ამ დღეს ეკლესია წმინდა მოციქულებს: პეტრეს და მის ძმას ანდრიას, იაკობსა და მის ძმას იოანეს, ფილიპეს, ბართლომეს, თომას, მათეს, იაკობ ალფესს, იუდა იაკობისას (თადეოზისა), სიმონ მოშურნეს და მატათას იხსენიებს.

13 ივლისს ასევე კეთილმორწმუნე დინარა დედოფლის (X) ხსენება აღინიშნება, რომელიც ჰერეთის დედოფალი იყო და მოსახლეობას სპარსთა მონოფიზიტური სარწმუნოებისგან იცავდა.

26 ივლისი — კრება გაბრიელ მთავარანგელოზისა

მთავარანგელოზი გაბრიელი უფალმა გამოარჩია, რათა ყოვლადწმიდა ქალწულისათვის და მასთან ერთად მთელი ქვეყნიერებისათვის ეხარებინა ძე ღვთისას განხორციელება, ამიტომ ხარების დღესასწაულის მეორე დღეს ეკლესია განადიდებს უფალს და თაყვანს სცემს მის კეთილ მაცნეს მთავარანგელოზ გაბრიელს.

მთავარანგელოზმა გაბრიელმა ძველი აღთქმის კაცობრიობას ძე ღვთისას განხორციელება აუწყა, მოსე წინასწარმეტყველს, შესაქმის დაწერა შთააგონა, დანიელ წინასწარმეტყველს გაუცხადა ებრაელი ერის მომავალი (დან. 8,16; 9,21-24); ეცხადებოდა მართალ ანას და ახარებდა ყოვლადწმიდა ქალწულის შობას; მოუშორებლად ახლდა ყრმა მარიამს იერუსალიმის ტაძარში. გაბრიელ მთავარანგელოზი გამოეცხადა მღვდელმთავარ ზაქარიას და უწინასწარმეტყველა უფლის წინამორბედის — იოანე ნათლისმცემლის შობა. უფალმა გაბრიელი გაუგზავნა დურგალ იოსებს და აუწყა ყოვლადწმიდა მარიამის მიერ ძე ღვთისას შობა, გააფრთხილა ჰეროდეს მზაკვრობაზე და უბრძანა, ეგვიპტეში გაქცეულიყო ყრმა მაცხოვართან და ღვთისმშობელთან ერთად. როდესაც მაცხოვარი გეთსემანიის ბაღში ლოცულობდა, ეკლესიის სწავლებით, მამა ღმერთმა გაბრიელ მთავარანგელოზი გამოუგზავნა განსაძლიერებლად.

მთავარანგელოზ გაბრიელისაგან გაიგეს მენელსაცხებლე დედებმა უფლის ბრწყინვალე აღდგომა.

მართლმადიდებელი ეკლესია თავის შვილებს მოუწოდებს, სარწმუნოებით ილოცონ წმიდა მთავარანგელოზ გაბრიელისადმი, ითხოვონ მისგან მეოხება და ხილულ და უხილავ მტერთაგან დაცვა.

ნანა ჩქარეული: იოცნებე, დაიჯერე, იშრომე და მიაღწევ!!!

მე-7 გვერდიდან

– გარდა ამ ულამაზესი სამკაულების შექმნისა, რა მიმართულებით მუშაობს „იკორთა“?

– ვთანამშრომლობთ ორ ტურისტულ კომპანიასთან და ტურისტებისთვის შედგენილი სპეციალური პროგრამა აქვს, რომელიც რამდენიმე ეტაპისგან შედგება: პირველი ეტაპი არის წეროვანში დახვედრა და დასახლების დათვალიერება. ვუყვებით ჩვენს ისტორიას, რა მოხდა და როგორ დავსახლდით წეროვანში, რა გამოწვევები გვქონდა და როგორ ვუყურებთ მომავალს. მეორე ეტაპი, საწარმოში მუშაობაა. ტურისტები თვითონ მუშაობენ ტიხრულ მინანქარზე. მესამე ეტაპზე, ადგილობრივ მოსახლეობას ოჯახებში ვსტუმრობთ. ზოგადად, ასეთი ტიპის პროგრამა ძალიან გვეხმარება, მინიმალური დანახარჯებით გავავრცელოთ ინფორმაცია ჩვენს შესახებ და ასევე გავაცნოთ ფართო საზოგადოებას დევნილების პრობლემები.

– კიდევ გკითხავ: მცხეთა-მთიანეთის რეგიონალურ ჰაბს ხელმძღვანელობ... ამერიკელ მოხალისეებზეც გვიამბე... მახსოვს პირველ ამერიკელ მოხალისეს თქვენმა ოჯახმა უმასპინძლა, დედაშენმა ქალბატონმა დოდო ლომაშვილმა ის ძალზე თბილად მიიღო...

– კი ასეა... 2013 წლიდან ჩვენი ორგანიზაცია ახორციელებს პროექტს ამერიკის საელჩოს მოძრავი ბიბლიოთეკა. არსებობს თუ არა მოძრავი წიგნები? რატომაც არა?! მეტიც, ისინი ავტობუსით გადაადგილდებიან. უკვე 10 წელია, რაც მოძრავი ბიბლიოთეკა გამოჩნდა საქართველოში, კერძოდ კი დევნილთა დასახლებაში, რათა მიეცა ბავშვებისთვის და ახალგაზრდებისთვის საინტერესო გამოცდილება. ბუქმობილი არა მხოლოდ სკოლის ავტობუსი და ბიბლიოთეკა, ის მოძრავი საგანმანათლებლო ცენტრია.

როცა მკითხველი ვერ მიდის ბიბლიოთეკაში, ბიბლიოთეკა ბორბლებზე დგება და თავად მიდის მკითხველებთან. სკოლის ავტობუსი მობილურ სამკითხველოდ გადაკეთდა და წეროვანს, ფრეზეთსა და გალავანს შორის დადის – იმ დასახლებებში, სადაც 2008 წლის კონფლიქტის შემდეგ ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობა ცხოვრობს.

2023-2024 წელსაც გამოვაცხადეთ უკვე მიღება პროგრამისთვის გალავანში, წეროვნისა და ფრეზეთის დევნილთა დასახლებებში.

– როგორია თქვენი მესიჯი?

– თუ ხარ სკოლის მოსწავლე და გინდა თავისუფალი დრო ბუქმობილის შემეცნებით კლუბებში გაატარო, ბევრი ისწავლო და აღმოაჩინო, გაიუმჯობესო ინგლისური ენის ცოდნა და შეიძინო ახალი მეგობრები, გაიარე რეგისტრაცია და შემოურთდი ჩვენს პროგრამას.

– ვის შეუძლია პროგრამაში მონაწილეობა?

– 6-18 წლის სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც ცხოვრობენ წეროვნის დევნილთა დასახლებაში, გალავანში ან ფრეზეთის დევნილთა დასახლებაში.

რეგისტრაცია გრძელდება 31 აგვისტომდე და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოგვწერონ ან დაგვირეკონ: kus.bookmobile@gmail.com. +995 599 410 250

– წარმატებას გისურვებთ და შენი წარმატების „საიდუმლოც“ გაგვიმხილე...

– იოცნებე, დაიჯერე, იშრომე და მიაღწევ!!!